

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
მმართველობის ანგარიშგება**

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

**საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018
წლის 31 დეკემბერს**

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	8

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. მომზადების საფუძვლები	11
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	16
5. ძირითადი საშუალებები	22
6. საინვესტიციო ქონება.....	23
7. არამატერიალური აქტივები	24
8. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	25
9. გაცემული სესხები	25
10. მარაგები.....	27
11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	27
12. გასაყიდად გამიზნული აქტივები.....	29
13. ფული და ფულის ეკვივალენტები	29
14. მიღებული სესხები	29
15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	31
16. ამონაგები.....	32
17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	33
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	34
19. რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები.....	34
20. სხვა ხარჯი, წმინდა	35
21. ფინანსური შემოსავლები	35
22. ფინანსური ხარჯები	35
23. ცვლილება ჯგუფის შივლობილი კომპანიების წილობრივ მფლობელობაში	36
24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	36
25. პირობითი ვალდებულებები და აქტივები	38
26. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	39
27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	40
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება.....	52

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებლებს და დირექტორთა საბჭოს მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ (შემდეგში კომპანია) და შვილობილი კომპანიების (შემდეგში ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების კონსოლიდირებულ მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენს აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- „მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.“

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი 2019 წელი

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- „მოვიპოვეთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.“

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოსაზრება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნებთან

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით; და
- 2018 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-735032)

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი 2019 წელი

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	471,184	485,103	498,193
საინვესტიციო ქონება	6	8,611	49,744	48,945
გუდვილი		726	726	726
არამატერიალური აქტივები	7	7,951	8,045	7,984
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	8	16,901	15,281	14,881
გაცემული სესხები	9	7	7,057	13,923
სხვა გრძელვადიანი აქტივები		1,746	1,575	1,404
		<u>507,126</u>	<u>567,531</u>	<u>586,056</u>
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	10	19,013	20,413	18,976
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	27,010	47,795	59,227
გაცემული სესხები	9	36,849	30,178	13,797
გასაყიდად გამიზნული აქტივი	12	53,532	-	-
საგადასახადო აქტივები		1,530	1,429	2,669
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	1,529	4,682	9,103
		<u>139,463</u>	<u>104,497</u>	<u>103,772</u>
სულ აქტივები		<u><u>646,589</u></u>	<u><u>672,028</u></u>	<u><u>689,828</u></u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		26,235	26,235	3,916
გაუნაწილებელი მოგება		139,881	178,762	172,735
სხვა რეზერვები		48,793	48,793	48,793
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი		<u>214,909</u>	<u>253,790</u>	<u>225,444</u>
არამაკონტროლებელი წილი		1,486	1,793	50,645
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>216,395</u>	<u>255,583</u>	<u>276,089</u>
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	14	306,589	292,908	311,474
		<u>306,589</u>	<u>292,908</u>	<u>311,474</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	28,009	44,946	50,953
საგადასახადო ვალდებულებები		4,699	5,142	2,327
მიღებული სესხები	14	90,897	73,449	48,985
		<u>123,605</u>	<u>123,537</u>	<u>102,265</u>
სულ ვალდებულებები		<u>430,194</u>	<u>416,445</u>	<u>413,739</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u><u>646,589</u></u>	<u><u>672,028</u></u>	<u><u>689,828</u></u>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2019 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

დ. ბეჟუაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ნ. ფურცელაძე

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	471,184	485,103	498,193
საინვესტიციო ქონება	6	8,611	49,744	48,945
გუდვილი		726	726	726
არამატერიალური აქტივები	7	7,951	8,045	7,984
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	8	16,901	15,281	14,881
გაცემული სესხები	9	7	7,057	13,923
სხვა გრძელვადიანი აქტივები		1,746	1,575	1,404
		507,126	567,531	586,056
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	10	19,013	20,413	18,976
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	27,010	47,795	59,227
გაცემული სესხები	9	36,849	30,178	13,797
გასაყიდად გამიზნული აქტივი	12	53,532	-	-
საგადასახადო აქტივები		1,530	1,429	2,669
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	1,529	4,682	9,103
		139,463	104,497	103,772
სულ აქტივები		646,589	672,028	689,828
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		26,235	26,235	3,916
გაუნაწილებელი მოგება		139,881	178,762	172,735
სხვა რეზერვები		48,793	48,793	48,793
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი		214,909	253,790	225,444
არამაკონტროლებელი წილი		1,486	1,793	50,645
სულ საკუთარი კაპიტალი		216,395	255,583	276,089
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	14	306,589	292,908	311,474
		306,589	292,908	311,474
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	28,009	44,946	50,953
საგადასახადო ვალდებულებები		4,699	5,142	2,327
მიღებული სესხები	14	90,897	73,449	48,985
		123,605	123,537	102,265
სულ ვალდებულებები		430,194	416,445	413,739
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		646,589	672,028	689,828

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, 2019 წლის 24 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

დ. ბეჟუაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ნ. ფურცელაძე

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	16	230,634	275,281
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17	(183,323)	(225,965)
სრული მოგება		47,311	49,316
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(16,333)	(17,453)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	19	(13,848)	(13,255)
სხვა ხარჯი, წმინდა	20	(23,630)	(13,359)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		(6,500)	5,249
საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება, წმინდა		12,399	783
ფინანსური შემოსავალი	21	2,767	3,990
ფინანსური ხარჯი	22	(49,690)	(31,626)
მეკავშირე საწარმოებისგან მიღებული შედეგი	8	1,895	1,584
ზარალი დაბეგვრამდე		(39,129)	(20,020)
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)			
მისაკუთვნებელი:			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		(38,881)	(20,122)
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებზე		(248)	102
მთლიანი სრული ზარალი		(39,129)	(20,020)

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		269,311	310,097
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(188,059)	(214,340)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(29,544)	(33,270)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები		51,708	62,487
გადახდილი პროცენტი		(14,632)	(14,363)
გადახდილი გადასახადები		(23,077)	(30,163)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები, წმინდა		13,999	17,961
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
დამატებითი წილის შეძენა / (რეალიზაცია) შვილობილ კომპანიაში/ მეკავშირე საწარმოში, წმინდა		-	(628)
მიღებული დივიდენდები		290	338
სესხების გაცემა		(7,653)	(13,949)
გაცემული სესხების დაბრუნება		1,352	8,448
მიღებული საპროცენტო შემოსავლები		561	1,132
არამატერიალური აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(433)	(514)
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები		-	(157)
საინვესტიციო ქონების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		-	(16)
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები		(8,138)	(15,931)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები		20	36
ფულადი ნაკადების გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან, წმინდა		(14,001)	(21,241)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
მიღებული სესხები		80,900	52,169
მიღებული სესხების გადახდა		(84,006)	(53,283)
გადახდილი დივიდენდები		(47)	(54)
ფულადი ნაკადების გადინება ფინანსური საქმიანობისთვის, წმინდა		(3,153)	(1,168)
ცვლილება ფულისა და ფულის ეკვივალენტებში		(3,155)	(4,448)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	4,682	9,103
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში, წმინდა		2	27
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	1,529	4,682

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებ ელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ მესაკუთრე თა კაპიტალი	არამაკონტ როლებელი წილი	სულ კაპიტალი
01.01.2017	3,916	172,735	48,793	225,444	50,645	276,089
მთლიანი სრული ზარალი	-	(20,122)	-	(20,122)	102	(20,020)
გაცხადებული დივიდენდები	-	-	-	-	(57)	(57)
დამატებითი შენატანები დამფუძნებლისგან	23	22,319	-	22,319	-	22,319
შვილობილი კომპანიის გასვლიდან მიღებული მოგება	23	-	4,699	4,699	(133)	4,566
ჯგუფის წილობრივი მფლობელობის ცვლილება შვილობილ კომპანიებში	23	-	21,450	21,450	(48,764)	(27,314)
31.12.2017	26,235	178,762	48,793	253,790	1,793	255,583
მთლიანი სრული ზარალი	-	(38,881)	-	(38,881)	(248)	(39,129)
გაცხადებული დივიდენდები	-	-	-	-	(59)	(59)
31.12.2018	26,235	139,881	48,793	214,909	1,486	216,395

10-51 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი (შემდგომში – კომპანია) დაფუძნდა 2006 წლის 28 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის კაპიტალის 100%-იან მფლობელს წარმოადგენს Chemexim International. ჯგუფს საბოლოოდ აკონტროლებს ფიზიკური პირი დავით ბეჟუაშვილი.

კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები დაფუძნებულები არიან, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია წარმოადგენს დედა კომპანიას იმ კომპანიებისთვის, რომელთა მთავარი ბიზნეს საქმიანობა მოიცავს: ელექტროენერგიის გამომუშავებას და რეალიზაციას, ბუნებრივი აირის საბითუმო და საცალო რეალიზაციას, ნახშირის მოპოვებას, საინვესტიციო ქონებების მშენებლობას და რეალიზაციას.

კომპანია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გაზაფხულის ქ. #18.

კომპანიამ მოახდინა რეორგანიზაცია 2016 წელს. რეორგანიზაციის მიზანი იყო იმ მთავარი საქმიანობების და შვილობილი/ასოცირებული კომპანიების შენარჩუნება, რომლებიც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი:

კომპანიის წილი შვილობილ/ასოცირებულ კომპანიებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის დასახელება	31.12.201 8 წილის ფლობა	31.12.2017 წილის ფლობა	01.01.2017 წილის ფლობა	შეძენის/ დაფუძნებ ის თარიღი	ინდუსტრია
შპს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი	100.00%	100.00%	100.00%	2012	მმართველი კომპანია
შპს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია	100.00%	100.00%	100.00%	2005	ჰესები/ელექტროენერგიით მომარაგება, რეალიზაცია
შპს ნეოგაზი	100.00%	100.00%	100.00%	2014	გაზგასამართი სადგურები
შპს ორთაჭალა გაზი	100.00%	100.00%	100.00%	2016	არ ფუნქციონირებს
შპს აჭარა ავტოგაზი	74.00%	74.00%	74.00%	2006	გაზგასამართი სადგურები
შპს მობილგორიგაზი	55.00%	55.00%	55.00%	2011	გაზგასამართი სადგურები
შპს დელტა-პე	50.00%	50.00%	50.00%	2005	გაზგასამართი სადგურები
შპს ახალგაზი	50.00%	50.00%	50.00%	2010	გაზგასამართი სადგურები
შპს იბერგაზი	50.00%	50.00%	50.00%	2000	გაზგასამართი სადგურები
შპს ავჭალა ავტოგაზი	40.00%	40.00%	40.00%	2008	გაზგასამართი სადგურები
შპს ავტოგაზგასამართი სადგური წნორი	30.00%	30.00%	30.00%	2006	გაზგასამართი სადგურები
შპს აირ კომპანი	30.00%	30.00%	30.00%	2006	გაზგასამართი სადგურები
შპს მისაქციელი 2001	25.00%	25.00%	25.00%	2005	გაზგასამართი სადგურები
შპს ბათუმი სიტი	100.00%	100.00%	100.00%	2011	მშენებლობა და უძრავი ქონება
შპს ფაურ თრეიდი	100.00%	100.00%	100.00%	2012	ელექტროენერგიით ვაჭრობა ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე
შპს Power Export	100.00%	100.00%	100.00%	2012	დამონტაჟებული აირბალონიანი მოწყობილობების ტესტირება
შპს სიპაურერი	100.00%	100.00%	100.00%	2015	ელექტროენერგიის წარმოება
შპს რიცეულაჰესი	88.50%	88.50%	88.50%	2008	ელექტროენერგიის წარმოება

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

კომპანიის დასახელება	31.12.2017 წლის ფლობა	31.12.2016 წლის ფლობა	01.01.2017 წლის ფლობა	შეძენის/ დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია
შპს ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერ -EPC	51.00%	51.00%	51.00%	2012	ჰესების პროექტირება და მშენებლობა
შპს X გაზი	50.00%	50.00%	50.00%	2012	გაზგასამართი სადგურები
შპს გამა + LLC Ukrainian Energy Company (უკრაინა)	25.00%	25.00%	25.00%	2005	გაზგასამართი სადგურები
შპს ემ პაუერ	100.00%	100.00%	100.00%		არ ფუნქციონირებს
შპს ემ პაუერ	0.00%	0.00%	100.00%	2016	ელექტროენერგიის წარმოება
შპს საქნახშირი	100.00%	100.00%	100.00%	2006	ქვანახშირის მოპოვება
შპს პოლჩარ საქართველო	50.00%	50.00%	50.00%	2010	არ ფუნქციონირებს
შპს სავაჭრო სახლი საქნახშირი (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)	100.00%	100.00%	0.00%	2017	არ ფუნქციონირებს
შპს სი-ბი-ემ ჯორჯია	100.00%	100.00%	0.00%	2017	არ ფუნქციონირებს
შპს ევროპული სკოლა	0.00%	0.00%	100.00%	2006	განათლება
შპს NINA ANANIASHVILI & WINE ART	0.00%	0.00%	25.00%	2001	მელვინეობა
შპს საქართველოს ეროვნული ლატარია	75.50%	75.50%	75.50%		არ ფუნქციონირებს
შპს მტკვარი ენერჯი	100.00%	100.00%	51.00%	1999	ელექტროენერგიის წარმოება
შპს ფარმატექნიკი	0.00%	0.00%	50.00%		არ ფუნქციონირებს
სს ქართული ლუდის კომპანია	24.11%	24.11%	24.11%	2011	ლუდის წარმოება

2. მომზადების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა გადაფასებული ღირებულებით აღრიცხული საინვესტიციო ქონებისა (ბასს 40), რომლისთვისაც ჯგუფი იყენებს რეალური ღირებულების მოდელს. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია 27-ე შენიშვნაში.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის ჯგუფის მიერ ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა ფასს-1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“. ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის - 2017 წლის 1 იანვრისთვის, ჯგუფს არ გამოუყენებია ფასს 1-ის "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება" მიხედვით მოცემული შეღავათები (კონკრეტულ მუხლებზე გამოსაყენებელი გათავისუფლებები).

2017 წლის 1 იანვრამდე ჯგუფი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

ფუნქციონირებადი საწარმო

ჯგუფის ძირითადი საშუალებების ნაწილის გამოყენებას ჯგუფის ხელმძღვანელობა გეგმავს ახალი მშენებარე ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურისთვის, რომელსაც აშენებს ჯგუფის კომპანია. ეს პროცესი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ჯგუფის მიერ მოპოვებული ნახშირის კომერციულად მომგებიან მოწოდებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ჯგუფი აწარმოებს აქტიურ მოლაპარაკებებს ნახშირის მომპოვებელ უცხოურ კომპანიასთან ახალი ტექნოლოგიებით სამთო ოპერაციების აღდგენისა და რეკონსტრუქციისთვის, იმისათვის, რომ ნახშირის მოპოვება ტექნიკური და კომერციული თვალსაზრისით მიზანშეწონილი გახდეს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ დიდი ალბათობით შესაძლებელია მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება და ერთობლივი რეკონსტრუქციის პროექტის დაწყება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

ახალი ფასს-ების მიღება, ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

ახალი სტანდარტები, რომლებმაც გამოიწვია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და რომლის საფუძველზეც მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქვემოთ:

- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან
- ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფი იყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს 2018 წლის 1 იანვრის თარიღით. ჯგუფმა არ შეასწორა შესადარისი პერიოდის ინფორმაცია ახალ სტანდარტებზე ფასს 9 და ფასს 15 გადასვლის გამო და შესაბამისად, შესადარისი პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ არის გადაანგარიშებული. აღნიშნული სახით მოცემულ სტანდარტებზე გადასვლა გულისხმობს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის აღიარებას სტანდარტის პირველადი გამოყენებისას (2018 წლის 1 იანვარი) კაპიტალის საწყის ნაშთში.

ჯგუფის შეფასებით ფასს 9 და ფასს 15-ის მიღების გამო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ აქვს არსებითი გავლენა კაპიტალის საწყის ნაშთზე (2018 წლის 1 იანვარი) და შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს ახალი სტანდარტების დანერგვიდან გამომდინარე კორექტირებებს.

სხვა ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებსა და შესწორებებს, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან არ გააჩნია გავლენა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკაზე, რადგან არ არის ჯგუფის საქმიანობასთან დაკავშირებული ან არ შეესაბამება ჯგუფის მიმდინარე სააღრიცხვო პოლიტიკას.

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

შემდეგ ახალ სტანდარტებს, ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც ჯერ არ არის შესული ძალაში და არ გამოყენებულა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 16 - იჯარა

ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ იჯარას და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო იჯარას სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელი ფინანსური იჯარის აღრიცხვის პრინციპს. იჯარის გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარის გამცემი განაგრძობს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. ჯგუფი არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე გამოყენებას. ჯგუფი აფასებს სტანდარტის მომავალ მოსალოდნელ ეფექტს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

დასაშვები საწყისი ღირებულებით აღრიცხული ძირითადი საშუალებები

იმის გამო, რომ ჯგუფის სააღრიცხვო ჩანაწერები არ იძლევა ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების შესახებ სწორ ინფორმაციას, ფასს 1-ის თანახმად ჯგუფს შეუძლია შეაფასოს ძირითადი საშუალებები ფასს-ებზე გადასვლის თარიღისთვის და გამოიყენოს შეფასებული (რეალური) ღირებულება, როგორც დასაშვები ღირებულება (ფასს.1.16). ზემოთ აღნიშნული პუნქტის თანახმად, ჯგუფის ზოგიერთი კომპანია (რომლებიც იყენებდნენ ძირითადი საშუალებების გადაფასების მეთოდს), 2017 წლის 1-ლი იანვრიდან იყენებენ რეალურ ღირებულებას, როგორც დასაშვებ საწყის ღირებულებას. ძირითადი საშუალებების შეფასება გაკეთდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2017 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ჯგუფის ძირითადი საშუალებების ნაწილი მოიაზრება, რომ გამოყენებულ იქნას ახალი მშენებარე ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურისთვის, რომელსაც აშენებს ჯგუფის კომპანია. ეს პროცესი მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ჯგუფის მიერ მოპოვებული ნახშირის კომერციულად მომგებიან მოწოდებაზე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ჯგუფი აწარმოებს აქტიურ მოლაპარაკებებს ნახშირის მომპოვებელ უცხოურ კომპანიასთან ახალი ტექნოლოგიებით სამთო ოპერაციების აღდგენისა და რეკონსტრუქციისთვის, იმისათვის, რომ ნახშირის მოპოვება ტექნიკური და კომერციული თვალსაზრისით მიზანშეწონილი გახდეს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ დიდი ალბათობით შესაძლებელია მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება და ერთობლივი რეკონსტრუქციის პროექტის დაწყება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

განახლებული პროგნოზების და დასრულებული წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე აღნიშნულ რეკონსტრუქციის პროექტთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ცვლილებებმა არ გამოიწვია გაუფასურების ზარალი ჯგუფისთვის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია განმარტებით შენიშვნაში 5.

შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია

ჯგუფის ხელმძღვანელობამ გამოიყენა განსაზღვრებები იმ საწარმოებისთვის, რომელთა წილის მფლობელობაც წარმოადგენს აქციების 50% (იხ შენიშვნა 1). ჯგუფს აქვს უფლება დირექტორების დანიშვნისა და განთავისუფლების, ასევე ახორციელებს რელევანტური ფინანსური ოპერაციებისა და საოპერაციო აქტივობების მართვას, ვინაიდან როგორც კომპანიის ხელმძღვანელობის წარმომადგენელი სარგებლობს დირექტორის უფლებამოსილებით. შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ ჯგუფი ეფექტურად მართავს დაქვემდებარებულ საწარმოებს და აქვს მნიშვნელოვანი კონტროლი მათზე, რის გამოც ჯგუფმა სრულად მოახდინა ასეთი საწარმოების კონსოლიდირება კონსოლიდირებულ ფინანსურ ინფორმაციაში.

საინვესტიციო ქონების შეფასება

საინვესტიციო ქონება ფასდება სამართლიანი ღირებულებით დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ გაკეთებული შეფასების საფუძველზე. ჯგუფის საინვესტიციო ქონების შეფასების პროცესში შესადარისი ფასების გათვალისწინებისას გარე შემფასებელმა გამოიყენა აუქციონით გაყიდვის ტრანზაქციები. როდესაც შესადარისი აქტივები განსხვავდებოდა ჯგუფის აქტივებისგან, მოხდა ფასის დაკორექტირება მდებარეობის, მდგომარეობის, ზომის, მისადგომობის, ასაკისა და გამყიდველთან მოლაპარაკებაში შესაძლო ფასდათმობების გათვალისწინებით. კვადრატული მეტრის ამგვარად განსაზღვრული შესადარისი ფასები შემდეგ გამრავლდა შესაფასებელი ქონების ფართობზე და მიღებული იქნა საინვესტიციო ქონების შეფასებული ღირებულება.

ხელმძღვანელობა გაეცნო შემოსავლის კაპიტალიზაციის მიდგომას, ფულადი ნაკადების, კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების შერჩევის წესს და დაადასტურა, რომ არჩეული მიდგომა და მიღებული დასკვნები მოცემული ვითარების შესაბამისი იყო.

ხელმძღვანელობა გაეცნო შემფასებელთა მიდგომას შესადარისი ქონების შერჩევისა და კვოტირებული საბაზრო ფასების კორექტირების პრინციპების საკითხში და დაადასტურა, რომ არჩეული მიდგომა და მიღებული დასკვნები მოცემული ვითარების შესაბამისი იყო.

საგადასახადო კანონმდებლობა და საგადასახადო ანარიცხების აღრიცხვა

ჯგუფის გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება გადასახადის იმ მიდგომებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან.

შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ვალდებულებები მოგების გარდა სხვა მიდგომებთან დაკავშირებულ ჯარიმებთან, პროცენტებთან ან გადასახადებთან დაკავშირებით აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. რეალური ხარჯი მომავალში, შესაძლოა განსხვავდებოდეს გაკეთებული შეფასებებისგან.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების საწყისი აღიარება

ბიზნესი ჩვეული საქმიანობისას ახორციელებს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებას საბაზრო ფასით. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი აქტივისთვის, ხელმძღვანელობა იყენებს განსაზღვრებებს იმის დასადგენად განხორციელდა თუ არა ტრანზაქცია საბაზრო საპროცენტო განაკვეთით. განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა არადაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული მსგავსი ტრანზაქციების ღირებულებას და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების პირობები და გარემოებები გამჟღავნებულია 24-ე შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განსაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ფასს 9-ის მიხედვით, ზარალის ანარცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსურ ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ისეთი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე.

არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. ჯგუფს შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი ანგარიშგების წარდგენის პერიოდისათვის. თუმცა, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-11 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასამართლო დავები

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარცხის საჭიროება და განმარტოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარცხების შეფასებისას ჯგუფი ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

დაუმთავრებელ მშენებლობად კვალიფიცირებული აქტივების გაუფასურების შეფასება.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაუმთავრებელ მშენებლობად კლასიფიცირდება: მიწა, შენობა-ნაგებობები, მშენებლობები, ტურბო-აგრეგატები, ტრანსფორმატორები, გენერატორები და სხვა აქტივები, 153,137 ათასი და 150,638 ათასი ლარის ღირებულებით, შესაბამისად. აქტივები დაკავშირებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტში 150-300 მეგავატი სიმძლავრის ქვანახშირის თბოელექტროსადგურის მშენებლობასთან (შენიშვნა #6).

მენეჯმენტმა შეფასება ჩაატარა მომავალი ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომლის მიხედვით, საბოლოო ღირებულება გამოთვალა იქნა გადასახადამდე ბაზისით, მოსალოდნელი ადგილობრივი დერეგულირებული გაყიდვებისა (236,359,200 კვტ/სთ) და 15 წლის შემდეგ ადგილობრივი დერეგულირებული გაყიდვების მოცულობის (1,219,159,200 კვტ/სთ), ერთი მხრივ, და ადგილობრივი დერეგულირებული გასაყიდი ტარიფის საპროგნოზო ფასების (6 აშშდ/კვტ/სთ, ყოველ წელს 2%-იანი ზრდით), მეორე მხრივ, გადამრავლებით.

მენეჯმენტის მიერ ზემოაღნიშნული დაშვებების საფუძველზე დადგენილი გამოყენებული ღირებულება აქტივების საბალანსო ღირებულებას 60%-ით აღემატებოდა.

დაუმთავრებელ მშენებლობად კლასიფიცირებული აქტივების გაუფასურების ტესტში მნიშვნელოვანი დაშვებები კეთდება, კერძოდ, ადგილობრივი დერეგულირებული გაყიდვების ტარიფი, დერეგულირებულ ბაზარზე გამოყენებული სიმძლავრე და 15 წლის შემდეგ ადგილობრივი დერეგულირებული გაყიდვების მოცულობა. მგრძნობელობის ანალიზი (იხილეთ ქვემოთ) გაკეთდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აღნიშნულ დაშვებებში გონივრულად დასაშვები ცვლილებებისა და ყველა სხვა დაშვების მუდმივობის გათვალისწინებით.

- ადგილობრივი დერეგულირებული გაყიდვების ტარიფის დაახლოებით 16%-ით შემცირება გამოიწვევდა დაუმთავრებელ მშენებლობად კლასიფიცირებული აქტივების გაუფასურებას;
- დერეგულირებულ ბაზარზე გამოყენების მოცულობის სიმძლავრისა და საბოლოო ღირებულების გამოსაანგარიშებელი 15 წლის შემდგომი ადგილობრივი დერეგულირებული გაყიდვების მოცულობის დაახლოებით 25%-ით შემცირება გამოიწვევდა მიმდინარე მშენებლობად კლასიფიცირებული აქტივების გაუფასურებას.

ზემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზი შეიძლება სათანადოდ ვერ ასახავდეს პროექტის გამოყენებული ღირებულების რეალურ ცვლილებას, რადგან, მენეჯმენტის აზრით, ნაკლებ სავარაუდოა, დაშვებები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად შეიცვალოს მათი პოტენციური კორელაციურობის გამო.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჯგუფის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საბაზრო რისკი
 - საპროცენტო რისკი
 - უცხოური ვალუტის რისკი
- გეოგრაფიული რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის ხელმძღვანელობა ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას ჯგუფის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას.

ჯგუფის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის, დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
გაცემული სესხები	36,856	37,235	27,720
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,056	43,971	55,675
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,529	4,682	9,103
	62,441	85,888	92,498
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	397,486	366,357	360,459
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	27,089	44,082	47,555
	424,575	410,439	408,014

ფასს 7 რეალური ღირებულების შეფასების იერარქია

ფასს 7 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დაშვებების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე).

რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში.

ჯგუფს არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 7-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება განსაზღვრულია 1-ლი დონის, ხოლო სესხებისა და სხვა ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულებები მე-2 და მე-3 დონის მიხედვით.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან.

იმის მიუხედავად, რომ საკრედიტო რისკზე გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორებიც, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფი არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე, გარდა იმ აქტივებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა, რომლებთან დაკავშირებითაც კონსოლიდირებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში აღიარებულია გაუფასურების ანარეცხი. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ დონეს.

ფინანსური აქტივები	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
გაცემული სესხები	36,856	37,235	27,720
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,056	43,971	55,675
ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ნაღდი ფულისა)	1,469	4,630	9,050
	62,441	85,888	92,445

საბაზრო რისკი

ჯგუფზე გავლენას ახდენს ბაზარზე არსებული რისკებიც. საბაზრო რისკები უმეტესად უკავშირდება საბაზრო ძალებით განსაზღვრულ ფასებს საქონელზე და ამით ქმნის ლიმიტებს ფასზე, რომელიც შეიძლება დააკისრო მომხმარებელს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს აქვს გავლენა ამ ფასებზე, საბითუმო მომხმარებლებისთვის, მისი გავლენა იზღუდება ისეთი კონკურენტების ქმედებებით, როგორიცაა შპს „სოკარ გაზი“ (მთავარი ეროვნული საბითუმო გაზის მომწოდებლები) და შპს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ბუნებრივი აირი ძირითადად შესყიდული იყო შპს „სოკარ ჯორჯია გაზისგან“ ფულადი ანაზღაურებით. შპს „სოკარ ჯორჯია გაზისგან“ ბუნებრივი აირის შესყიდვის ფასი შეთანხმებულია წინასწარ.

გარდა ამისა, ჯგუფს აქვს ღია სავალუტო პოზიცია, რომელიც მერყეობს ზოგადი და კონკრეტული ბაზრის მოძრაობების შესაბამისად. ხელმძღვანელობა ადგენს ლიმიტებს რისკის იმ ოდენობაზე, რომელიც შეიძლება რომ ტოლერილებულ იქნას, რაც რეგულარულად მონიტორინგის ქვეშაა. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებამ შეიძლება ვერ შეზღუდოს ზარალი ამ ფარგლებს მიღმა, უფრო მნიშვნელოვნად, ბაზრის არახელსაყრელად მოძრაობის შემთხვევაში.

• საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ცვლილება საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი მოძრაობის მიმართ, რაც გამოიხატება მოზიდული სახსრების ან/და ფულადი სახსრებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. ჯგუფს არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, თუ რა პროპორციით უნდა იყოს ფიქსირებული და ცვლადი სესხები ჯგუფში. თუმცა, ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია გარდა „თიბისი ბანკისგან“ (ყოფილი ბანკი რესპუბლიკის სესხი), საქართველოს ბანკისგან და სს. პაშა ბანკ ჯორჯიასგან აღებული სესხებისა, რომელთა საპროცენტო განაკვეთი მერყეობს 6 თვიან LIBOR + 5%-9% შორის.

• სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
დოლარი:			
ფულადი ფინანსური აქტივები	17,647	17,722	14,482
ფულადი ფინანსური ვალდებულებები	(383,975)	(355,570)	(225,231)
ევრო:			
ფულადი ფინანსური აქტივები	526	10,840	303
ფულადი ფინანსური ვალდებულებები	(6,178)	(6,887)	(5,260)
დოლარის ღია სავალუტო პოზიცია:	(366,328)	(337,848)	(210,749)
ევროს ღია სავალუტო პოზიცია:	(5,652)	3,953	(4,957)

მგრძნობელობა სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის მენეჯენტის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

გავლენა წმინდა მოგებაზე აქტივების ღირებულების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31.12.2018	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/(ზარალი)	(73,266)	73,266	(1,130)	1,130
31.12.2017	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/(ზარალი)	(67,570)	67,570	791	(791)
01.01.2017	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი	
	ლარი/დოლარი 20%	ლარი/დოლარი -20%	ლარი/ევრო 20%	ლარი/ევრო -20%
მოგება/(ზარალი)	(42,150)	42,150	(991)	991

გეოგრაფიული რისკი

გეოგრაფიული რისკი. ჯგუფის აქტივები მდებარეობს საქართველოში. ქვეყანა განაგრძობს განვითარებადი ბაზრის გარკვეული მახასიათებლების ჩვენებას. ამგვარად, ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს საქართველოში არსებული ბიზნეს გარემოს გაუარესების რისკები.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ჯგუფი ასევე, ნაწილობრივ დამოკიდებულია საქართველოსა და სხვა ქვეყნების ურთიერთობების განვითარებაზე, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანსა და სომხეთთან. ნებისმიერმა მოვლენამ, რომელიც გავლენას მოახდენს ბუნებრივი აირის ფასზე, შეიძლება საფრთხე შეუქმნას ჯგუფს, განაგრძოს ბიზნესი ჩვეულებისამებრ. ამასთანავე, ჯგუფზე ცუდი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს იმ ფაქტმა, რომ თუ მთავრობა შეზღუდავს ელექტროენერგიის ექსპორტს საქართველოდან, ჯგუფის მომგებიანი ბარტერული ტრანზაქციები შეიზღუდება.

ლიკვიდურობის რისკი

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში არსებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044
კურსი 2017 წლის 1 იანვრისთვის	2.6468	2.7940

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ვასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის), ჯგუფის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

ფინანსური ვალდებულებები

ოპერაციის მიზნიდან გამომდინარე ჯგუფი ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. 2018 წლის 1 იანვრისთვის (ფასს 9 სტანდარტებზე გადასვლის თარიღისთვის) ჯგუფს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს,

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჰათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების დროულობა

შემოსავალი წარმოიშობა ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობების პროცესში. შემოსავალი აღიარებულია გარიგების ფასის ოდენობით. გარიგების ფასი არის ანაზღაურების თანხა, რომელზეც ჯგუფი უფლებამოსილი იქნება კლიენტისთვის შეპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის უფლების გადაცემის სანაცვლოდ, მესამე მხარეების სახელით ინკასირებული თანხების გამოკლებით.

შემოსავალი ნაჩვენებია დღ-ისა და ფასდაკლებების გარეშე. შემოსავალი იზომება როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება. როდესაც ბარტერულ შეთანხმებაში საიმედოდ ვერ დგინდება მიღებული აქტივის ღირებულება, შემოსავალი აღიარდება იმ აქტივების ან სერვისის ღირებულებით, რომელიც ჯგუფმა გასცა ან გაუწია. ჯგუფი გაზის გაყიდვასთან დაკავშირებულ შესრულების ვალდებულებას აღიარებს დროში ერთ მომენტში, რადგან არსებობს შესრულების მხოლოდ ერთი ვალდებულება.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

გარანტირებული სიმძლავრის გაყიდვა. გარანტირებული სიმძლავრიდან მიღებული შემოსავლები აღიარებულია იმ დღეების რაოდენობის საფუძველზე, როდესაც სადგური მზად არის მიაწოდოს ელექტროენერგია დადგმული სიმძლავრით. დღიური ტარიფი გარანტირებული სიმძლავრისთვის განისაზღვრება სემეკის მიერ.

გარანტირებული სიმძლავრის საფასური თბილისრესის თბოელექტროსადგურისთვის აღიარებულია დღეების რაოდენობის მიხედვით, რა დროსაც ელექტროსადგურს შეუძლია მიაწოდოს ელექტროენერგია მისი დადგმული სიმძლავრის შესაბამისად. დღიური ტარიფი დგინდება საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ (სემეკი). ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები განისაზღვრება ყოველთვიურად, მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე.

გაზისა და ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი. გაზისა და ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი აღიარებულია მომხმარებლების მიერ გამოყენებული გაზომილი რაოდენობის მიხედვით.

ნახშირის რეალიზაცია. ნახშირის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება საქონლის ფლობაზე რისკების და ანაზღაურების გადაცემის მომენტში, ჩვეულებრივ, საქონლის გაგზავნისას. თუკი ჯგუფი თანახმაა საქონლის გაგზავნაზე მითითებულ ადგილას, შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საქონელი გადაეცემა კლიენტს დანიშნულების პუნქტში, ან კლიენტმა მიიღო საქონელი იმ ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის მიღების პირობები ამოიწურა, ან ჯგუფს აქვს ობიექტური ვალდებულებები, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი იქნა შესრულებული.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროითი პროპორციის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ფასები თითოეული პროდუქტის მიხედვით ფიქსირებულია და არ მოიცავს რეალიზებულ საქონელზე სარეალიზაციო ფასის გადანაწილებისას შეფასების ელემენტს. როდესაც მომხმარებელი ახდენს ერთზე მეტი სახეობის საქონლის შესყიდვას, ჯგუფს შეუძლია მარტივად მოახდინოს სარეალიზაციო ფასების მკვეთრი გამიჯვნა კონტრაქტის ფარგლებში პროდუქციის ცალკე აღებული სარეალიზაციო ფასების მიხედვით.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ძირითადი საშუალებები

(ა) აღიარება და შეფასება

მიწა და შენობა-ნაგებობები, რომლებიც გამოიყენება როგორც საწარმოო, ასევე ადმინისტრაციული მიზნებისთვის, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნაწილი წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რომელიც წარმოადგენს დასაშვებ საწყის ღირებულებას გადაფასების თარიღის - 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შემდგომი აკომულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯში.

(ბ) რეკლასიფიკაცია საინვესტიციო ქონებაზე

როდესაც ქონების გამოყენება არ ხდება საკუთარი მიზნებისთვის, არამედ ის საინვესტიციო ქონებად კვალიფიცირდება, ხდება მისი შეფასება რეალური ღირებულებით და რეკლასიფიცირება საინვესტიციო ქონებად. შეფასების სხვაობა დამატებულია ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს და ჩართულია სხვა სრულ შემოსავალში, გარდა იმ მოცულობისა, რაც წინა წელს წარდგენილი იყო მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როგორც შესაბამისი აქტივების ჩამოფასება და რომელ შემთხვევაშიც ზრდა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა შემთხვევაში გაუფასურება აღიარდება მოგება-ზარალში.

(გ) შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაწეულ იქნა.

(დ) დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ ჯგუფს შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ცვეთა

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს საანგარიშო თანხას, რომელიც შესაძლოა მოცემული დროისთვის მიიღოს ჯგუფმა აქტივის რეალიზაციიდან, მინუს რეალიზაციის საორიენტაციო დანახარჯები, თუ აქტივი უკვე მოძველებულია და სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისთვის მოსალოდნელ მდგომარეობაში იმყოფება. აქტივის ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ფასს 5-ის “გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციების” შესაბამისად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ნაწილს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, ხოლო ნაწილს ცვეთა ერიცხება მათი წარმოების ერთეულთა ჯამის მიხედვით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
მიწა	არ ცვდება
შენობები	5-60
ჰიდროტექნიკური სტრუქტურები	5-60
გაზის მილსადენები	5-40
ნახშირის მოპოვებისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები	გამომუშავებულ ერთეულთა მეთოდი
მანქანა დანადგარები	5-30
ავტომობილები - მძიმე სატვირთო მანქანები	5-20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ცვდება

არამატერიალური აქტივები

(ა) აღიარება და შეფასება

ჯგუფის არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს და მინერალური რესურსების მოპოვების ლიცენზიებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები

გრძელვადიანი აქტივები გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირდება, თუ მათი საბალანსო ღირებულება ანაზღაურდება გაყიდვის გარიგებით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით.

ამისათვის, შესაძლებელი უნდა იყოს აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) დაუყოვნებელი გაყიდვა არსებულ მდგომარეობაში, მხოლოდ ასეთი აქტივების (ან გამსვლელი ჯგუფების) გაყიდვის ჩვეულებრივი პირობებით და მისი გაყიდვა დიდი ალბათობით მოსალოდნელი უნდა იყოს.

იმისათვის, რომ გაყიდვა მაღალი ალბათობით იყოს მოსალოდნელი, ხელმძღვანელობის შესაბამისი დონე აქტივის (ან გამსვლელი ჯგუფის) გაყიდვის გეგმას მხარს უნდა უჭერდეს და შემუშავებული უნდა იყოს მყიდველის მოძებნისა და გეგმის ბოლომდე მიყვანის აქტიური პროგრამა.

გასაყიდად გამიზნულად კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები ფასდება მათ წინა საბალანსო ღირებულებასა და რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას შორის უმცირესი ოდენობით.

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ათას ლარში)

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფს საქმიანობის განსახორციელებლად აქვს აღებული შემდეგი ლიცენზიები:

ლიცენზიის აღების თარიღი	ლიცენზიის №.	მოსაპოვებელი ტერიტორია	მოსაპოვებელი რაოდენობა ლიცენზიის მიხედვით (ტონებში)	ლიცენზიის ვადა (წელი)
15-აგვისტო- 2006	№100752	ტყიბულის რაიონი –ლიცენზიის ფართობი 8 ჰექტარი	მინიმუმ 110,000 ტონა 2010-2011 წლებში, შემდეგ წლებში ულიმიტო	2036 წლის 14 აგვისტომდე
25- დეკემბერი- 2007	№01018	ტყიბულის და ამბროლაურის რაიონი –ლიცენზიის ფართობი 5,479,9 ჰექტარი	233,298,000	45
20-იანვარი- 2010	№100785	ქალაქ ტყიბულის მიმდებარედ ლიცენზიის ფართობი 0.75 ჰექტარი	ულიმიტო წლიური მოპოვება, მთლიანად მოსაპოვებელი 54,840 მ³	20
01-იანვარი- 2017	№1003794	ქალაქ ტყიბულის მიმდებარედ ლიცენზიის ფართობი 5.02 ჰექტარი	602,400 მ³	20

(ბ) ამორტიზაცია

ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. იმ შემთხვევაში, თუ ის კლასიფიცირებული არაა ფასს 5-ის „გასაყიდად გამოზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციების“ შესაბამისად და როცა შეწყდება ამ აქტივის აღიარება.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ლიცენზიები	5-45
რუკები	45
სააღრიცხვო პროგრამები	5-10

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლების მისაღებად ან კაპიტალის გრძელვადიანი ზრდისთვის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისათვის როგორიცაა: გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ან საქონლის საწარმოებლად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის. ჯგუფი საინვესტიციო ქონების თავდაპირველ აღიარებას ახდენს თვითღირებულებით, შემდეგ რეალური ღირებულებით, რის შემდეგაც მის შეფასებას ახდენს საბაზრო ფასების ცვლილების შესაბამისად ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების საბაზრო ფასი განისაზღვრება შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი შემფასებლების შეფასების მიხედვით, რომლებსაც აქვთ მსგავსი აქტივების და მსგავს ლოკაციებზე შეფასების გამოცდილება. საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში ცალკე კატეგორიად.

იმ შემთხვევაში, თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, ხდება მისი რეკლასიფიკაცია ძირითად საშუალებებში და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული საბალანსო ღირებულება ხდება მისი დასაშვები ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე, თუ მომავალში მოსალოდნელია დანახარჯებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოდინება და დანახარჯების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. სხვა დანახარჯები აღიარდება პერიოდის ხარჯებად, მათი გაწევის მომენტში.

მარაგები, დაუმთავრებელი წარმოება და მზა პროდუქცია

ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

წარმოების პროცესში არსებული გარდამავალი ფაზა ნედლეულიდან მზა პროდუქციამდე წარმოადგენს დაუმთავრებელ წარმოებას. თვის განმავლობაში გაწეული ყველა საწარმოო ხარჯი, ნედლეული და სხვა გახარჯული მარაგი თავს იყრის ამ ანგარიშზე. საწარმოო ხარჯების მაგალითია: ცვეთა, მომუშავეთა ხელფასი, დაცვის ხარჯი, მანქანა-დანადგარების დაზღვევა, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ზედნადები ხარჯები.

საშუალო შეწონილი ღირებულება გამოიყენება წარმოების პროცესში გამოყენებული ნედლეულის თვითღირებულების განსაზღვრისთვის.

გადასახადები

პერიოდის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც ჯგუფი ფუნქციონირებს. ხელმძღვანელობა პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას, კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. ჯგუფი ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეთება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ გაიცემა ნებართვა ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე, აღიარებულია ბალანსშემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

27. ჯგუფის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- (ა) გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- (ბ) კანონმდებლობიდან; ან
- (გ) სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- (ა) წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- (ბ) შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

2018 წელი

ინფორმაცია ჯგუფის საქმიანობის შესახებ	53
ჯგუფის მომავალი განვითარების გეგმები	56
სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა	58
ჯგუფის ფილიალების მიმოხილვა	58
კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	58
ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	58
ჯგუფის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა და შესაბამისი მექანიზმები რისკების მენეჯმენტისთვის	59
სოციალური პასუხისმგებლობა	60

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

ჯგუფის საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

ინფორმაცია ჯგუფის საქმიანობის შესახებ

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შპს “ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი” დაფუძნდა 2006 წლის 28 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის კაპიტალის 100%-იან მფლობელს წარმოადგენს Chemexim International. ჯგუფს საბოლოოდ აკონტროლებს ფიზიკური პირი ბატონი დავით ბეჟუაშვილი. კომპანია და მისი შვილობილი კომპანიები დაფუძნებულები არიან, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია წარმოადგენს დედა კომპანიას იმ კომპანიებისთვის, რომელთა მთავარი ბიზნეს საქმიანობა მოიცავს: ელექტროენერგიის გამომუშავებას და რეალიზაციას, ბუნებრივი აირის საბითუმო და საცალო რეალიზაციას, ნახშირის მოპოვებას, საინვესტიციო ქონებების მშენებლობას და რეალიზაციას. კომპანია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გაზაფხულის ქ. #18. შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა შემდეგ კომპანიებს:

კომპანიის დასახელება	31.12.2018 წლის ფლობა	31.12.2017 წლის ფლობა	შეძენის/ დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია
შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“	100%	100%	2012	მმართველი კომპანია
შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“	100%	100%	2005	ჰესები/ელექტროენერგიით მომარაგება, რეალიზაცია
შპს „ნეოგაზი“	100%	100%	2014	გაზგასამართი სადგურები
შპს „ორთაჭალა გაზი“	100%	100%	2016	არ ფუნქციონირებს
შპს „აჭარა ავტოგაზი“	74%	74%	2006	გაზგასამართი სადგურები
შპს „მობილგორიგაზი“	55%	55%	2011	გაზგასამართი სადგურები
შპს „დეღტა-პე“	50%	50%	2005	გაზგასამართი სადგურები
შპს „ახალგაზი“	50%	50%	2010	გაზგასამართი სადგურები
შპს „იბერგაზი“	50%	50%	2000	გაზგასამართი სადგურები
შპს „ავჭალა ავტოგაზი“	40%	40%	2008	გაზგასამართი სადგურები
შპს „ავტოგაზგასამართი სადგური წნორი“	30%	30%	2006	გაზგასამართი სადგურები
შპს „აირ კომპანი“	30%	30%	2006	გაზგასამართი სადგურები
შპს „მისაქციელი 2001“	25%	25%	2005	გაზგასამართი სადგურები
შპს „ბათუმი სიტი“	100%	100%	2011	მშენებლობა და უძრავი ქონება
შპს „ფაუერ თრეიდი“	100%	100%	2012	ელექტროენერგიით ვაჭრობა
შპს „Power Export“	100%	100%	2012	ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე დამონტაჟებული აირბალონიანი მოწყობილობების ტესტირება
შპს „სიპაუერი“	100%	100%	2015	ელექტროენერგიის წარმოება

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

კომპანიის დასახელება	31.12.2018 წლის ფლობა	31.12.2017 წლის ფლობა	შეძენის /დაფუძნების თარიღი	ინდუსტრია
შპს „რიცეულაჰესი“	88.5%	88.5%	2008	ელექტროენერგიის წარმოება
შპს „ჯორჯიან ჰაიდრო ფაუერ - EPC	51%	51%	2012	ჰესების პროექტირება და მშენებლობა
შპს „X გაზი“	50%	50%	2012	გაზგასამართი სადგურები
შპს „გამა+“	25%	25%	2005	გაზგასამართი სადგურები
შპს „საქნახშირი“	100%	100%	2006	ქვანახშირის მოპოვება
შპს „პოლჩარ საქართველო“	50%	50%	2010	არ ფუნქციონირებს
შპს „სავაჭრო სახლი საქნახშირი“ (ჯი-აი-ჯი ჯგუფი)	100%	100%	2017	არ ფუნქციონირებს
შპს „სი-ბი-ემ ჯორჯია“	100%	100%	2017	არ ფუნქციონირებს
შპს „საქართველოს ეროვნული ლატარია“	75.5%	75.5%		არ ფუნქციონირებს
შპს „მტკვარი ენერჯი“	100%	100%	1999	ელექტროენერგიის წარმოება
სს“ქართული ლუდის კომპანია“	24.11%	24.11%	2011	ლუდის წარმოება

„ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“-ის ერთ-ერთ წამყვან მიმართულებას წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება და რეალიზაცია, რომელსაც ახორციელებენ შვილობილები „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ჯგუფი და შპს „მტკვარი ენერჯი“.

შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია" (სსეკ) დაარსდა 2005 წლის 11 ივლისს. კომპანია არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების ჯგუფის მშობელი, რომელთა ძირითადი საქმიანობა მოიცავს ელექტროენერგიის გამომუშავებას, გაზგასამართი სადგურების ოპერირებას, გაზის საბითუმო ვაჭრობას, საინვესტიციო ქონების განვითარებასა და გაყიდვას.

ელექტროენერგიის გამომუშავება ხდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 8 ჰიდროელექტროსადგურისა და გარდაბანში მდებარე თბოელექტროსადგურის („თბილსრესის“) ორი ენერგო ბლოკის მეშვეობით. ელექტროენერგია იყიდება ელექტროენერგიის ბაზრის კომერციულ ოპერატორზე („ესკო“) და გამანაწილებელ კომპანიებზე (თელასი, ენერგოპრო). თბოელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 272 მეგავატს და მისი გასაყიდი ფასი დგინდება სემეკის ნორმატიული აქტით. სსეკი ჯგუფის მფლობელობაში არსებული ჰიდროელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე ჯამში 48.743 მეგავატია. მათი ტარიფები კანონის მიხედვით („საქართველოს კანონი ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“) დერეგულირებულია და ტარიფს ადგენს თავისუფალი ბაზარი.

„სსეკ“-ის თბოელექტროსადგურების მიერ ესკოსა და გამანაწილებელ კომპანიებზე მიყიდულმა ელექტროენერგიის რაოდენობამ 2018 წელს შეადგინა 195,798,240 კვ/სთ, ტარიფი იყო 11.51 თეთრი კვ/სთ-ზე.

ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებულმა და გაყიდული ელექტროენერგიის რაოდენობამ 2018 წელს შეადგინა 202,309,997 კვტ/სთ.

სსეკ-ის საქმიანობა ასევე მოიცავს ჰიდრო და თბოელექტროსადგურებზე გამომუშავებულ, სხვის სადგურებზე გამომუშავებულ, ქვეყანაში იმპორტირებული ელ. ენერგიის საბითუმო ყიდვა-გაყიდვას საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე და ექსპორტს (ტრანზიტი) მეზობელ ქვეყნებში.

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

გაზის ძირითადი მომხმარებლები მსხვილი ქართული სამრეწველო საწარმოები, მათ შორის ცემენტის ქარხნები და გაზგასამართი სადგურების ქსელები არიან. „სსეკ“-ის ჯგუფი ასევე ჩართულია გაზის საცალო ვაჭრობაში საკუთარი გაზგასამართი სადგურების საშუალებით, რომელსაც ოპერირებას უწევს „სსეკ“-ის შვილობილი „ნეოგაზი ჯგუფი“, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეკუმშული ბუნებრივი აირის რეალიზაციას ახდენს. 10 წელზე მეტია რაც ბაზარზე ოპერირებს, 2012 წლიდან კი რეგრენდინგის შემდეგ, „ნეოგაზის“ სახელით არის წარმოდგენილი და სფეროში ერთ-ერთი წამყვანი ბრენდია. ბრენდის შექმნასთან ერთად შემუშავდა და ეტაპობრივად დაინერგა სადგურების ახალი ვიზუალური კონცეფცია, ერთიანი სამეურნეო და მომსახურების სტანდარტი.

„ნეოგაზი“ ერთ-ერთი ყველაზე ფართო ქსელის მფლობელია, რომელიც 24 ავტოგაზგასამართ სადგურს (მათ შორის შვილობილები) და 13 მოძრავ სადგურს აერთიანებს. „ნეოგაზის“ სადგურები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და სრულად დაცულია უსაფრთხოების ნორმები.

ელექტროენერგიის წარმოებას და შემდგომ რეალიზაციას ახორციელებს ასევე „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფი“-ის მეორე შვილობილი კომპანია შპს „მტკვარი ენერჯი“.

შ.პ.ს. „მტკვარი ენერჯი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საქართველოს ელექტროსისტემისათვის გარანტირებული სიმძლავრის ელექტროენერგიის წარმოების უზრუნველყოფა და ელექტროენერგიის გენერაცია. კომპანიის ძირითად საოპერაციო აქტივს წარმოადგენს თბოელექტროსადგური რომელიც თავის მხრივ მოიცავს მის საკუთრებაში არსებულ მე-9 ენერგობლოკს. მე-9 ენერგობლოკი წარმოადგენს ზეკრიტიკული პარამეტრებით მომუშავე ბლოკური ტიპის თბოელექტროსადგურს, დადგმული სიმძლავრით 300 მგტ.

შ.პ.ს. „მტკვარი ენერჯი“-ს კუთვნილი მე-9 ენერგობლოკის საქმიანობა განეკუთვნება რეგულირებად სფეროს და ანგარიშვალდებულია საქართველოს ენერგეტიკისა და მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) წინაშე. შესაბამისად ელექტროენერგიის რეალიზაცია ხორციელდება დადგენილი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

2018 წლის განმავლობაში, სემეკმა დაადგინა შემდეგი ტარიფები და პერიოდი კომპანიისათვის:

- რეზერვირების პერიოდი - 275 დღე
- გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი - 59,630 ლარი დღეში
- ელექტროენერგიის წარმოების სატარიფო მაქსიმალური ზღვარი - 0.11512 ლარი - კვტ/სთ

2019 წლისთვის გარანტირებული სიმძლავრის ტარიფი დღეში გაიზარდა 77,121 ლარამდე და ელექტროენერგიის წარმოების სატარიფო მაქსიმალური ზღვარი გაიზარდა 0.11646 ლარამდე - კვტ/სთ.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა ენერგობლოკის ოპერატიულ-დისპეტჩერული დაქვემდებარების შესაბამისად უზრუნველყოფს ბლოკის ჩართვაზე განკარგულების გაცემას ან მარქაფში ყოფნას.

„ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ - ის შემდეგ ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს ნახშირის მოპოვება და რეალიზაცია, რომელსაც ახორციელებს შვილობილი კომპანია შპს „საქნახშირი“. კომპანია მდებარეობს ქალაქ ტყიბულში თაბუკაშვილის ქ. #13, აქვე მდებარეობს ნახშირის შახტებიც, სადაც მოიპოვებენ ქვანახშირს.

კომპანია წარმოადგენს ერთდერთ ნახშირის მომპოვებელ საწარმოს საქართველოში. ნახშირის მოპოვება ხდება 2 ძირითადი კარიერიდან, ესენია მინდელის და ძიძიგურის შახტები. ნახშირის მოპოვებასთან ერთად კომპანია ახდენს ნახშირის გადამუშავებას (გამდიდრებას) ნახშირის გამამდიდრებელ ფაბრიკაში და შემდგომ რეალიზაციას.

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
 (ათას ლარში)

კომპანია საქმიანობის განსახორციელებლად ფლობს შემდეგ ლიცენზიებს:

ლიცენზიის აღების თარიღი	ლიცენზია ს No.	მოსაპოვებელი ტერიტორია	მოსაპოვებელი რაოდენობა ლიცენზიის მიხედვით (ტონებში)	ლიცენზიის ვადა (წელი)
15-აგვისტო- 2006	№100752	ტყიბულის რაიონი – ლიცენზიის ფართობი 8 ჰექტარი	მინიმუმ 110,000 ტონა 2010-2011 წლებში, შემდეგ წლებში ულიმიტო	2036 წლის 14 აგვისტომდე
25-დეკემბერი- 2007	№01018	ტყიბულის და ამბროლაურის რაიონი – ლიცენზიის ფართობი 5,479,9 ჰექტარი	233,298,000	45
20-იანვარი- 2010	№100785	ქალაქ ტყიბულის მიმდებარედ ლიცენზიის ფართობი 0.75 ჰექტარი	ულიმიტო წლიური მოპოვება, მთლიანად მოსაპოვებელი 54,840 მ³	20
01-იანვარი- 2017	№1003794	ქალაქ ტყიბულის მიმდებარედ ლიცენზიის ფართობი 5.02 ჰექტარი	602,400 მ³	20

რაც შეეხება შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“-ის კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვას: 2018 წლის განმავლობაში ჯგუფის ჯამური შემოსავლები შეადგენდა 230,634 ათას ლარს. სრული მოგება 47,311 ათას ლარს, წმინდა ზარალი 39,129 ათას ლარს. მთლიანი მოგება პროცენტულად 2018 წელს არის 20.51% რაც 2017 წელთან შედარებით გაზრდილია როცა მთლიანი მოგება წარმოადგენდა 17.92 %-ს.

ჯგუფის მომავალი განვითარების გეგმები

ჯგუფის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ასევე ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარული ღონისძიებების ეფექტიანობაზე, საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ სფეროებში განვითარებასთან ერთად. ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად მათ შედეგებზე (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) რამაც შესაძლოა იმოქმედოს ჯგუფის სამომავლო გეგმებზეც. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი იღებს ყველა აუცილებელ ზომას ჯგუფის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

2018 წლის 16 მაისს შპს „ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ ერთ-ერთმა შვილობილმა კომპანიამ სსკ-მ საქართველოს მთავრობასთან გააფორმა მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც 2020 წელს დაიწყება ახალი 5 მგვტ. ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე ზეფუას ხეობაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. აღნიშნული პროექტის საინვესტიციო თანხა 6,500,000 აშშ დოლარს შეადგენს. აღნიშნულ პროექტზე 2018 წელს დაიწყო წინასამშენებლო სამუშაოები.

2018 წლის მთავრობის დადგენილების შედეგად, 2019 წლის მაისიდან საცალო მომხმარებელი, რომელიც აკმაყოფილებს ამავე დადგენილებით ელექტროენერგიის პირდაპირი მომხმარებლისათვის განსაზღვრულ სავალდებულო კრიტერიუმებს, უნდა დარეგისტრირდეს საბითუმო ვაჭრობაში, როგორც პირდაპირი მომხმარებელი. აღნიშნული დადგენილება საშუალებას მისცემს სსეკ-ს აწარმოოს მოლაპარაკებები პირდაპირ მომხმარებლებთან და გააფორმოს ხელშეკრულებები ელექტროენერგიის პირდაპირი წესით მიყიდვაზე.

2016 წელს საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის შვილობილმა კომპანიამ შპს „სიპაუერი“ გააფორმა ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასთან, რომლის მიხედვითაც კომპანიამ აიღო ვალდებულება 150-300 მეგავატიანი თბოელექტროსადგურის მშენებლობა/რეკონსტრუქცია განხორციელებინა გარდაბნის მუნიციპალიტეტში. აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით ხელი მოეწერა გენერალურ ხელშეკრულებას მშენებლობაზე, ჩინურ კომპანია Dongfang Electric Corporation-თან. 2018 წლის 7 თებერვალს კომპანია სიპაუერმა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან თბოელექტროსადგურის მშენებლობის ნებართვა მიიღო.

რაც შეეხება განვითარების გეგმებს გაზგასამართი სადგურების ოპერირებასთან დაკავშირებით, რასაც „ნეოგაზი ჯგუფი“ ახორციელებს, მდგომარეობს შემდეგში:

ქსელის გაფართოება: „ნეოგაზის“ გაზგასამართი სადგურების ტერიტორიულად ხელსაყრელ ადგილზე არსებობა და ქსელის სიდიდე გაზგასამართი კომპანიის შერჩევის წამყვანი კრიტერიუმია. იმისათვის, რომ „ნეოგაზმა“ შეძლოს კიდევ უფრო დიდი რაოდენობის მომხმარებლის მოზიდვა, კომპანია მიზნად ისახავს გადახედოს არსებული ქსელის სიდიდეს, სადგურების ლოკაციებს და დაამატოს სადგურები ახალ, ტერიტორიულად ოპტიმალურ ლოკაციებზე. ამისათვის მიზანშეწონილია, ქსელის გეოგრაფიული დაფარვის არეალის გაზრდა და ქსელის გაფართოება საქართველოს იმ რეგიონებსა და ლოკაციებზე, სადაც არ არის წარმოდგენილი „ნეოგაზი“.

სადგურზე დამატებითი სერვისის განვითარება: სამომხმარებლო ბაზრისათვის მიმზიდველია სადგურებზე არსებობდეს დამატებითი როგორც უფასო, ასევე ფასიანი მომსახურებები. იმისათვის რომ კომპანია „ნეოგაზმა“ კონკურენცია გაუწიოს კონკურენტ ქსელებს, რეკომენდირებულია საკუთარ ქსელში დანერგოს დამატებითი სერვისები, როგორც არის: მერკეტი, სწრაფი კვების ობიექტი, ავტო სამრეცხაო და სხვა.

ლოიალობის ბარათზე დამატებითი ფუნქციების განვითარება: ზოგადად ლოიალობის ბარათები გავლენას ახდენს, არამხოლოდ ბრენდის შერჩევაზე, არამედ შემდეგ ბრენდის მიმართ ლოიალობაზეც. კომპანია „ნეოგაზის“ მომხმარებლები აქტიურად იყენებენ „ნეოქარდს“ და დადებითად აფასებენ მიღებულ სარგებელს. იმისათვის, რომ ლოიალობის ბარათი „ნეოქარდის“ პირობები მიმზიდველი გახდეს უფრო მეტი მომხმარებლისთვის კომპანია გეგმავს მისი პირობების გამრავალფეროვნებას.

რაც შეეხება ჯგუფის განვითარების გეგმებს რეგულირებად საქმიანობასთან დაკავშირებით („თბილსრესი“ და მეცხრე ენერგობლოკი), ჯგუფი ზედმიწევნით უზრუნველყოფს რეგულირებადი საქმიანობის სწორად წარმართვას, ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების შესრულებას და ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს მაჩვენებლები არის რელევანტური. მომავალი პერიოდის გეგმებიც განსაზღვრულია იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი რეგულირებადი საქმიანობის სრული მოცულობით და წარმატებით შესრულება.

ჯგუფის მფლობელობაში არსებული ენერგობლოკების სრულ მზადყოფნას ხელს უწყობს დროულად და მაღალკვალიფიციურად ჩატარებული საჭირო სარემონტო სამუშაოები, მუდმივი ზრუნვა დასაქმებული პერსონალის ცოდნის ამაღლებაზე, შრომის დაცვის, ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოების მუდმივი კონტროლი.

2018 წლის ივნისში, შპს „საქნახშირმა“ შეაჩერა ნახშირის მოპოვება რამდენიმე ინციდენტის გამო, თუმცა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, GIG

შპს ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი და შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

(ათას ლარში)

(საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი) აწარმოებს აქტიურ მოლაპარაკებებს ნახშირის მომპოვებელ უცხოურ კომპანიასთან ახალი ტექნოლოგიებით სამთო ოპერაციების აღდგენისა და რეკონსტრუქციისთვის, იმისათვის რომ შპს „საქნახშირში“ ნახშირის მოპოვება ტექნიკური და კომერციული თვალსაზრისით მიზანშეწონილი გახდეს.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ დიდი ალბათობით შესაძლებელია მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება და ერთობლივი რეკონსტრუქციის პროექტის დაწყება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და განვითარების მიმოხილვა

2018 წლის განმავლობაში ჯგუფი არ ყოფილა ჩართული რაიმე კვლევის და განვითარების აქტივობაში.

ჯგუფის ფილიალების მიმოხილვა

ჯგუფი არ ფლობს იურიდიულ ფილიალებს, თუმცა ჯგუფის შვილობილები თავმოყრილია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე.

კომპანიის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

(თანხები გამოხატულია ათას ლარში)

	2018 წელი	2017 წელი
შემოსავალი	230,634	275,281
მთლიანი სრული მოგება	47,311	49,316
წმინდა ზარალი	(39,129)	-20,020
მთლიანი მოგება (%)	20.51%	17.91%

წმინდა ზარალის ზრდა 2018 წელს უმეტესწილად გამოწვეულია არასაოპერაციო ხარჯების ზრდით, კერძოდ შვილობილი კომპანიის შპს „საქნახშირის“ გაჩერებით და წლის განმავლობაში სავალუტო სახსრების გადაფასებით გამოწვეული ზარალით.

რაც შეეხება არაფინანსურ მაჩვენებლებს, დიდი ყურადღება ექცევა გარემოსდაცვით და უსაფრთხოების საკითხებს ჯგუფის მამულებით ყველა სტრუქტურულ ერთეულში. შემუშავებულია გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმა, ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, ტარდება ღონისძიებები გარემოზე ზემოქმედების შესაბამისი დოკუმენტაციის დასკვნით ნაწილში რეკომენდაციების შესრულებაზე.

ინფორმაცია საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის მიერ საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2018 წელს ადგილი არ ქონია აქციების შეძენას ჯგუფის მიერ.

ჯგუფის ფინანსური და არაფინანსური რისკების მიმოხილვა და შესაბამისი მექანიზმები რისკების მენეჯმენტისთვის

ჯგუფის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი და შესაბამისი კომიტეტები დამატებით მიმოხილავენ რისკების მართვის პოლიტიკას, პროცესების ეფექტურობას. კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას ჯგუფი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა) და გაცემული სესხებიდან. იმის მიუხედავად, რომ საკრედიტო რისკზე გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორებიც, მენეჯმენტს სჯერა, რომ ჯგუფი არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე, გარდა იმ აქტივებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა, რომლებთან დაკავშირებითაც კონსოლიდირებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში აღიარებულია გაუფასურების ანარიცხი. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ დონეს.

ფინანსური აქტივები	31.12.2018	31.12.2017
გაცემული სესხები	36,856	37,235
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24,056	43,971
ფული და ფულის ეკვივალენტები (გარდა ფულისა სალაროში)	1,469	4,630
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური დონე	62,381	85,836

საბაზრო რისკი

ჯგუფზე გავლენას ახდენს ბაზარზე არსებული რისკებიც. საბაზრო რისკები უმეტესად უკავშირდება საბაზრო ძალებით განსაზღვრულ ფასებს საქონელზე და ამით ქმნის ლიმიტებს ფასზე, რომელიც შეიძლება დააკისრო მომხმარებელს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს აქვს გავლენა ამ ფასებზე, საბითუმო მომხმარებლებისთვის, მისი გავლენა იზღუდება ისეთი კონკურენტების ქმედებებით, როგორიცაა შპს „სოკარ გაზი“ (მთავარი ეროვნული საბითუმო გაზის მომწოდებლები) და შპს "ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია". საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ბუნებრივი აირი ძირითადად შესყიდული იყო შპს „გაზ თრეიდინგისგან“ და „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტისგან“ ფულადი ანაზღაურებით. გარდა ამისა, ჯგუფს აქვს ღია სავალუტო პოზიცია, რომელიც მერყეობს ზოგადი და კონკრეტული ბაზრის მოძრაობების შესაბამისად. მენეჯმენტი ადგენს ლიმიტებს რისკის იმ ოდენობაზე, რომელიც შეიძლება რომ ტოლერილებულ იქნას, რაც რეგულარულად მონიტორინგის ქვეშაა. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებამ შეიძლება ვერ შეზღუდოს ზარალი ამ ფარგლებს მიღმა, უფრო მნიშვნელოვნად ბაზრის არახელსაყრელად მოძრაობის შემთხვევაში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ცვლილება საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი მოძრაობის მიმართ, რაც გამოიხატება მოზიდული სახსრების ან/და ფულადი სახსრებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. ჯგუფს არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, თუ რა პროპორციით უნდა იყოს ფიქსირებული და ცვლადი სესხები ჯგუფში. თუმცა, ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია გარდა „თიბისი ბანკისგან“, საქართველოს ბანკისგან და სს. პაშა ბანკ ჯორჯიასგან აღებული სესხებისა, რომელთა საპროცენტო განაკვეთი არის 6 თვიან LIBOR- ზე მიბმული შესაბამისად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ჯგუფი ახდენს ლიკვიდობის რისკის მართვას სესხებზე წვდომის შენარჩუნებით და მუდმივი პროგნოზირებისა და რეალური ფულადი ნაკადების მოძრაობის მონიტორინგის გზით. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო ერთეულებში და ჯამდება ჯგუფის ფინანსების მიხედვით. ასეთი პროგნოზები ითვალისწინებენ ჯგუფის რეფინანსირების გეგმებს. ჯგუფის ფინანსების განყოფილება მონიტორინგს უწევს ჯგუფის ლიკვიდობის მოთხოვნებს რომ უზრუნველყოს საკმარისი ფულის ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დაიტოვოს საკმარისი არეალი იმისათვის, რომ არ დაარღვიოს სესხების ლიმიტები.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სოციალური პასუხისმგებლობა

„ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სოციალურ თუ საქველმოქმედო აქტივობებში. იქნება ეს სოციალური თემატიკის, საგანმანათლებლო, სპორტული თუ ეკოლოგიური.

ფინანსური რისკების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 24 სექტემბერს კომპანიის დირექტორის მიერ:

გენერალური დირექტორი

დ. ბეჟუაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ნ. ფურცელაძე

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის ცვლილება საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი მოძრაობის მიმართ, რაც გამოიხატება მოზიდული სახსრების ან/და ფულადი სახსრებიდან მიღებული შემოსავლების შემცირებით. ჯგუფს არ გააჩნია ფორმალური პოლიტიკა, თუ რა პროპორციით უნდა იყოს ფიქსირებული და ცვლადი სესხები ჯგუფში. თუმცა, ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია გარდა „თიბისი ბანკისგან“, საქართველოს ბანკისგან და სს. პაშა ბანკ ჯორჯიასგან აღებული სესხებისა, რომელთა საპროცენტო განაკვეთი არის 6 თვიან LIBOR- ზე მიბმული შესაბამისად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ჯგუფი ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით, და განსაზღვრავს ჯგუფის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ჯგუფი ახდენს ლიკვიდობის რისკის მართვას სესხებზე წვდომის შენარჩუნებით და მუდმივი პროგნოზირებისა და რეალური ფულადი ნაკადების მოძრაობის მონიტორინგის გზით. ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება ჯგუფის საოპერაციო ერთეულებში და ჯამდება ჯგუფის ფინანსების მიხედვით. ასეთი პროგნოზები ითვალისწინებენ ჯგუფის რეფინანსირების გეგმებს. ჯგუფის ფინანსების განყოფილება მონიტორინგს უწევს ჯგუფის ლიკვიდობის მოთხოვნებს რომ უზრუნველყოს საკმარისი ფულის ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დაიტოვოს საკმარისი არეალი იმისათვის, რომ არ დაარღვიოს სესხების ლიმიტები.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სოციალური პასუხისმგებლობა

„ჰოლდინგი საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ აქტიურადაა ჩართული სხვადასხვა სოციალურ თუ საექსპლუატაციო აქტივობებში. იქნება ეს სოციალური თემატიკის, საგანმანათლებლო, სპორტული თუ ეკოლოგიური.

ფინანსური რისკების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 24 სექტემბერს კომპანიის დირექტორის მიერ:

გენერალური დირექტორი

დ. ბეჟუაშვილი

მთავარი ბუღალტერი

ნ. ფურცელაძე